TAV Georgia

თარიღი : 26 / 12 / 2018
ნომერი : TAV.GM.5331

შპს „საქაერონავიგაცია“-ს დირექტორს
ბატონ გოჩა მეზვრიშვილს

ბატონო გოჩა,

თქვენი 2018 წლის 24 დეკემბრის №8/1559 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ შპს „ტავ ურბან საქართველო“ თანახმაა განხორციელდეს თბილისის საერთაშორისო აეროპორტის ადზ-ს 13R კურსით მიახლოვების სანათების სისტემის მონტაჟი, ზღურბლიდან 420 მეტრ მანძილზე, ICAO-ს მე-14 დანართის 1-ლი ტომის და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 16 თებერვლის №87 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის „სამოქალაქო ავიაციის აეროდრომების ვერტოდრომების პროექტირებისა და ექსპლუატაციის ძირითადი პირობები“-ს ნორმატიული მოთხოვნების სრული დაცვით.

აგრეთვე, გთხოვთ წინასწარ, დამატებით გვაცნობოთ ზემოთხსენებული სამონტაჟო სამუშაოების ჩატარების თარიღები და ფრენების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მიიღოთ ყველა საჭირო აუცილებელი ზომა.

პატივისცემით,

თეა ზაქარაძე
გენერალური მენეჯერის მოადგილე

ZG

TAV Urban Georgia LLC
Tbilisi International Airport
0158 Tbilisi, Georgia
T: (+995 32) 2 310 265
F: (+995 32) 2 310 322
www.tbilisiairport.com

URS CERTIFICATE NO. 31199